დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 მაისის

N07 დადგენილებით

# საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის მიღმა აქტივობების განხორციელება/შეფასების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) მნიშვნელოვან როლს ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მიღმა აქტივობებს - კონფერენციის, ტრენინგის, სემინარის, სტუდენტების მხარდაჭერის პროექტების, კულტურულ-შემოქმედებითი-სპორტული/სოციალური/გარემოსდაცვითი ღონისძიებების, სხვადასხვა სახის აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების სახით. აღნიშნული აქტივობები გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში და მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით.
2. კურიკულუმს მიღმა აქტივობები/ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს, როგორც საქართველოში ადგილობრივი რესურსისა და დაინტერესებული პირების ჩართვას, ასევე კავკასიის რეგიონსა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობას, რათა ხელი შეეწყოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის აღსრულებას.
3. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული კურიკულუმის მიღმა აქტივობების/ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ამავე გეგმაში აღნიშნული სტრუქტურული ერთეული/სუბიექტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში შესაძლებელია დამატებით იქნას ინიცირებული რაიმე სახის ღონისძიების ჩატარება (შემდეგომში - ინიცირება).
4. კურიკულუმს მიღმა აქტივობების/ღონისძიებების ინიციატორი შესაძლოა იყოს უნივერსიტეტის მმართველი ორგანო/სუბიექტიან/და უნივერსიტეტის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი/ხელმძღვანელი. ინიციატივის შესახებ შესაბამისმა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა წერილობით უნდა მიმართოს რექტორს;
5. ინიცირების წერილში უნდა იყოს აქტივობის/ღონისძიების მოკლე აღწერილობა, მნიშვნელობის დასაბუთება და სავარაუდო ხარჯი. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფენ აქტივობის/ღონისძიების დაგეგმვისა და ეფექტურად განხორციელების ადმინისტრირება-ხელშეწყობა-აღსრულებასა და ინფორმაციის გავრცელებას (კომპეტენციის ფარგლებში)
6. კურიკულუმს მიღმა აქტივობების/ღონისძიებების ინიციატორი შესაძლებელია იყოს სტუდენტთა თვითმმართველობა. აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა მიემართოს რექტორს. ინიცირების წერილში უნდა იყოს აქტივობის/ღონისძიების მოკლე აღწერილობა, მნიშვნელობის დასაბუთება და სავარაუდო ხარჯი. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი. სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები ასევე ექვემდებარე ამ წესში მითითებულ აღრიცვისა და შეფასების რეგულაციას.
7. აქტივობის დაფინანსების წყარო შესაძლოა იყოს უნივერსიტეტის ბიუჯეტიან/დაგრანტიან/დაშემოწირულობა.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმს მიღმა აქტივობების/ღონისძიებების აღრიცხვა

1. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურები, კარიერული და სტუდენტთა მხარდაჭერის და უწყვეტი განათლების ცენტრები უზრუნველყოფენ თითოეული აქტივობის/ღონისძიების ელექტრონულად აღრიცხვას,

სადაცგანთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: აქტივობის შინაარსი, ჩატარების ადგილი და დრო, მონაწილეთა რაოდენობა და სხვა სპეციფიური მონაცემი.

2. საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები და უწყვეტი განათლების ცენტრი ვალდებულია განათავსონ ინფორმაცია აქტივობის/ღონისძიების ჩატარების, დასრულებისა და შედეგების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ფოტო ან/და ვიდეო მასალითა და მოკლე აღწერილობით.

3. საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები და უწყვეტი განათლების ცენტრი ყოველი წლის ბოლოს წლიურ ანგარიშში ასახავს წლის განმავლობაში ჩატარებულ თითოეულ აქტივობას/ღონისძიებსა და მის თანმდევი შედეგების მოკლე ანოტაციას. აღნიშნულის თაობაზე ყოველ მომდევნო წელს ანგარიშგების სახით გაიმართება შეხვედრა რექტორთან.

## მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმს მიღმა აქტივობების/ღონისძიებების შეფასება

1. კურიკულუმს მიღმა აქტივობები/ღონისძიებები სავალდებულოდ ექვემდებარება მონიტორინგს, შეფასებას.

2. საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს ყოველი აქტივობის/ღონისძიების დასრულებისას მონაწილე პირების კმაყოფილების კვლევას. რესპოდენტთა კითხვარი ყოველ ჯერზე უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად, უნდა იყოს გარანტირებული კონფიდენციალობა და უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას:

- აქტივობის/ღონისძიების დასახელება;
- ჩატარების დრო და ადგილი;
- აქტივობამ/ღონისძიებამ გაამართლა თუ არა მონაწილეთა/რესპოდენტთა მოლოდინები;
- მომავალში რა მიმართულებით/თემატიკით/ღონისძიებაში ისურვებდენენ ჩართულობას;
- აქტივობა/ღონისძიება იყო თუ არა სათანადო გარემოში ორგანიზებული;
- როგორ შეაფასებენ აქტივობის/ღონისძიების თაობაზე ინფორმირების საშუალებებს;
- როგორ შეაფასებდნენ აქტივობის/ღონისძიების წამყვანს/ჩართულ პირ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები და უწყვეტი განათლების ცენტრი ვალდებულია გამოკითხვის შედეგები დაამუშაოს და ანგარიშის სახით წარადგინოს რექტორის წინაშე, ასევე შესაბამისი ინფორმაცია ასახოს წლიურ ანგარიშში. გამოვლენილი ხარვეზები, რექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება განხილულ იქნას აკადემიურ საბჭოსთან, მათი შემდგომში თავიდან აცილების მიზნით.

4. აქტივობის/ღონისძიების შეფასებით გამოვლენილი ხარვეზები უნდა იქნეს გათვალისწინებული ყოველი მომდევნო აქტივობის/ღონისძიების დაგეგმვა-განხორციელებისას.